სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება №34

CPV: 33690000 - სხვადასხვა სამედიცინო პროდუქცია

თბილისი **10 მარტი, 2022წ**

ერთის მხრივ - **ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი** (შემდგომში - შემსყიდველი), დირექტორის **დათო რურუას** სახით და მეორეს მხრივ - **შპს „სოლო ფარმა“** (შემდგომში - მიმწოდებელი), დირექტორის **ალექსანდრე გრიგალაშვილის** სახით (მინდობილობით), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, ა(ა)იპ-ის 2022 წლის საკუთარი შემოსავალების სახსრებით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, მონეტარული ზღვრების ფარგლებში, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია - ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდით, სამედიცინო დანიშნულების საგნების შესყიდვა.

1.2. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქცია განკუთვნილია შემსყიდველის სტრუქტურული ერთეულის - მუხიანის სპორტული კომპლექსის სარაგბო კლუბისათვის „ხვამლი“, ამ სპორტული სახეობის მაღალი ტრავმატიული რისკებიდან გამომდინარე, შესასყიდ პროდუქციას გააჩნია კონსოლიდირებული ტენდერებისაგან განსხვავებული მახასიათებლები, კერძოდ - მოქმედების სწრაფი/მყისიერი ეფექტი, შემადგენელი რეაგენტების მაღალი კონცენტრაცია, შემადგენელი რეაგენტების მულტი-კომპლექსურობა).

1.3. 2021-2022-2023 წლების ფარმაცევტული პროდუქტების კონსოლიდირებული ტენდერების კომისიიდან **თანხმობა მიღებულია** Wed, Mar 9 at 5:08 PM, pharm2022@spa.gov.ge

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია:

N	დასახელება	რაოდენობა ცალი	ერთეულის ფასი	ჯამური ფასი
1	**დიკლაკი 5% გელი 50გრ ტუბი**	10	16.70	167.00
2	**პერსკინდოლი აქტივ სპრეი 150მლ ფლაკონი**	10	20.20	202.00
3	**პერსკინდოლი აქტივ სპრეი 100მლ ტუბი**	10	20.50	205.00
4	**კაფსიკამი მალამო 50გრ ტუბი**	10	18.20	182.00
			სულ, ჯამურად	***756,00***

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. საქონლის ფასი განისაზღვრება ეროვნულ ვალუტა ლარში.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა **756,00** (შვიდას ორმოცდა თექვსმეტი) **ლარი.**

3.3. საქონლის ფასი შეიცავს მასთან დაკავშირებულ ყველა გადასახადსა და ხარჯს.

4. საქონლის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონლის ხარისხი იქნება ხარიხიანი, ვარგისიანი, რაოდენობრივად უნაკლო, უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს კონკრეტული საქონლისთვის გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. საქონლის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

5.1. საქონლის შესყიდვის ადგილია: თბილისი, შპს „სოლო ფარმა“-ს აფთიაქი. საქონლის შესყიდვის მომენტად ითვლება მხარეთა მიერ სასაქონლო ზედნადების გაფორმების/ატვირთვის თარიღი, რა მომენტიდანაც შემსყიდველზე გადადის 6.1. პუნქტით გათვალისწინებული საკუთრების უფლება;

5.2. საქონლის შესყიდვის პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (პრაის-ლისტი, სასაქონლო ზედნადები და/ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

5.3. საქონლის მიწოდება განხორციელდება ერთ ეტაპად - შემსყიდველის მოთხოვნიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში.

6. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

6.1. საქონლის მიღება ფორმდება და მისი გადაცემა დასტურდება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი შესაბამისი საბუთებით (სასაქონლო ზედნადები, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ანგარიშ-ფაქტურა), რომელთა ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, რომელიც პასუხისმგებელია შესაძლო რისკებზე - საქონლის შემთხვევით (მთლიანად ან ნაწილობრივ) დაღუპვაზე, გაფუჭებაზე ან რაიმე ზიანზე. აღნიშნული დოკუმენტის გაფორმების მომენტიდან აღნიშნული უფლებები და რისკები გადადის შემსყიდველზე.

6.2. "შემსყიდველის" მხრიდან, ამ ხელშეკრულების ფარგლებში საჭირო დოკუმენტაციის ხელმოწერაზე და საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირია შემსყიდველის ფინანსური მენეჯერი **თამარ სუბელიანი**. მიმწოდებლის შერჩევაზე პასუხისმგებელი პირია დავით გოგბაიძე, რომელიც არ იმყოფება "მიმწოდებელთან" ინტერესთა კონფლიქტში.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში;

7.2. საქონლის ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით;

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის შესყიდვისა და ხელშეკრულების 5.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

7.4. შემდგომი გადახდის პირობით მედიკამენტებისა და სამედიცინო ნაწარმის მიწოდებისას (ურთიერთშეთანხმებით), მათი ღირებულების გადახდა ხდება ზედნადებში აღნიშნული ღირებულებით. გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ლარის დევალვაციის (>5%) ანგარიშსწორება მოხდება საკურსო სხვაობის გათვალისწინებით, ლარის გადახდის დღისათვის დაფიქსირებული კურსით, აშშ დოლართან მიმართებაში.

8. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე შეამოწმოს საქონლის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს საქონლის მიღება.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს, ხოლო ასეთ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების/გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;

9.3. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან

გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.4. ხელშეკრულებიდან გასვლაზე გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ორმხრივ ელექტრონულად ხელმოწერიდან და მოქმედებს **2022 წლის 30 აპრილის** ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების მიმართ, მათ შორის, ფასის შეცვლასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესები.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე;

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე;

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მხარეთა შეთანხმებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიიქცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

14. საქონლის შემოწმების პირობები

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდებისას, სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის (ვარგისიანობა, რაოდენობა) დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და მოთხოვნებთან;

14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან/და დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით;

14.3. სასაქონლო ზედნადების გაფორმებამდე გამოვლენილი დეფექტის ან/და ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. სხვა პირობები

15.1. არც ერთ მხარეს აქვს უფლება თავისი უფლებები და მოვალეობები გადასცეს მესამე პირს, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

15.2. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებით, რისკით;

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორმხრივად ელექტრონულად ხელმოწერილი სახით.

15.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია, თუ წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ორმხრივ ელექტრონულად ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ - ქალაქ თბილისის გლდანი-ნაძალადევის კომპლექსური სპორტული ცენტრი
თბილისი, გლდანის Vმ/რ. ილია ვეკუას ქუჩა N127
ს/ნ 400085572
ტელ.: 2 24-03-04
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ანგ. N741787499
დირექტორი

Dato Rurua
Digitally signed by Dato Rurua
Date: 2022.03.10 17:03:48

/დათო რურუა/

მიმწოდებელი:

შპს „სოლო ფარმა“
მის. იურ.: თბილისი, მ. ბროსეს ქუჩა N7
ფაქტ.: თბილისი, ხიზანიშვილის ქუჩა N41
ს/ნ 402015154
ტელ.: 2 308-333
ს/ს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი - TBCBGE22
ა/ა N GE24TB78 662 360 801 00002
დირექტორი

_____

/ალექსანდრე გრიგალაშვილი/